



საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-13/2831

16/03/2022

2831-15-13-2-202203161659



თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ ვასილ მშვენიერაძეს

სასამართლოს მეგობრის (Amicus curiae) მოსაზრება

ბატონ ვასილ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, მსჯავრდებულ [REDACTED] განცხადების საფუძველზე, შეისწავლა სპეციალური პენიტენციური სამსახურის დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს (შემდეგში - „საბჭო“) 2021 წლის 1 ოქტომბრის №04/21/შ-233 გადაწყვეტილება მის მიმართ სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის თაობაზე.

გადაწყვეტილების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ საბჭომ, საკითხის განხილვისას, მირითადი ყურადღება გაამახვილა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და სხვა ნეგატიურ მახსიათებლებზე, მაგრამ სათანადოდ არ შეაფასა მსჯავრდებულის რესოციალიზაციისკენ სწრაფვა და სასჯელის მოხდის პერიოდში ამ მიმართულებით დაფიქსირებული აშკარა, მზარდი პოზიტიური დინამიკა. ამასთანავე, საბჭომ არ დაასაბუთა, თუ რატომ არ არის [REDACTED] ჯერ კიდევ რესოციალიზებული და რამდენად აუცილებელია მისი საზოგადოებისგან შემდგომი იზოლაცია. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მოგმართავთ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით საბჭოს 2021 წლის 1 ოქტომბრის №04/21/შ-233 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

მოგეხსენებათ, რომ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, „საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია, [...] ცალკეულ

შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტუტიციო სასამართლოში¹.

ვსარგებლობ რა მონიჭებული უფლებამოსილებით, წარმოგიდგენთ ჩემს წერილობით მოსაზრებას აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. ვიძედოვნებ, რომ წინამდებარე მოსაზრება სასამართლოს განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში დაეხმარება. მოსაზრება მიზნად არ ისახავს საქმის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერას.

საბჭოს გადაწყვეტილების შინაარსი

№04/21/შ-233 გადაწყვეტილების თანახმად, საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შუამდგომლობა მსჯავრდებულ [REDACTED] სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის თაობაზე და იუსტიციის მინისტრის ბრძანების² (შემდეგში - „მინისტრის №320 ბრძანება“) განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე გამოარკვია და შეაფასა [REDACTED] პიროვნული მახასიათებლები და სხვა გარემოებები.

საკითხის განხილვისას, საბჭომ გაითვალისწინა მსჯავრდებულის ოჯახური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, ის ფაქტი, რომ სასჯელის მოხდის პერიოდში წახალისდა სამჯერ, მონაწილეობს სოციალური აქტივობებში და ირიცხებოდა დაწესებულების სამეურნეო მომსახურებაში.

თუმცა, საბჭომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მსჯავრდებულმა პირობითი მსჯავრის მოქმედების ვადაში ჩაიდინა ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა.³ მსჯავრდებულის ქვევამ სასჯელის მოხდის პერიოდში ორჯერ გამოიწვია დისციპლინური ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა.⁴ მსჯავრდებულს წარსულში ჩადენილი აქვს სსკ-ის 236-ე და 187-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული⁵ და ნასამართლევია სსკ-ის 178-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის.⁶

¹ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონი, მუხ. 21, ქვეპ. „ე“.

² „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი სამსახურის მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათვალისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 07 აგვისტოს №320 ბრძანება.

³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 117, ნაწ. მე-2.

⁴ 21.11.2016 – N2 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის N954697 განკარგულებით გამოეცხადა საყვედური (თვითწებურად ჩამოაღი სხვა საკითხის სარემელი); 18.04.2017 – N2 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის N289565 განკარგულებით, შეეზღუდა სატელეფონო საუბრის უფლება ერთი თვის ვადით (მსჯავრდებულს მიაჟუნა სიტყვიერი შეურაცხყოფა).

⁵ ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შემენა და ტარება; სხვისი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

⁶ ძარცვა.

ამასთან, მსჯავრდებულის მიმართ წარსულში ერთხელ უკვე გამოყენებულ იქნა კანონით დადგენილი შეღავათები, კერძოდ, 2016 წლის 26 აპრილს გათავისუფლდა პირობით ვადამდე. საკითხის განხილვისას საბჭომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მსჯავრდებულს არ წარმოუდგენია დაზარალებულის უფლებამონაცვლის წოტარიულად დამოწმებული თანხმობა მის მიმართ კანონით დადგენილი შეღავათების გამოყენების თაობაზე. საბჭომ მიიჩნია, რომ ამ კრიტერიუმის თანმხლები წევატიური მოსაზრებები ვერ გააჩათილა და ვერ გადაწონა სხვა დადებითი კონტექსტის კრიტერიუმებმა.

შესაბამისად, საბჭომ არ დააკმაყოფილა მსჯავრდებულ ██████████ შუამდგომლობა სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ ██████████ პირად საქმეში არსებული მონაცემებით, მისი სასჯელის ათვლის თარიღია 2016 წლის 15 სექტემბერი. სასჯელის მოხდის საწყის ეტაპზე, კერძოდ, 2016 წლის 21 ნოემბერს და 2017 წლის 18 აპრილს მას დაკაისრა დისციპლინური სახდელები. თუმცა, 2017 წლის 18 აპრილის შემდგომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება. 2017 წლის 7 ივლისს, 2019 წლის 17 დეკემბერს და 2021 წლის 28 მაისს მსჯავრდებული იყო წახალისებული სანიმუშო ყოფაქცევისა და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისთვის. პირველ შემთხვევაში მას ვადამდე მოეხსნა დისციპლინური სახდელი, მეორე შემთხვევაში წახალისდა დამატებითი სატელეფონო საუბრის უფლებით, ხოლო ბოლოს გამოეცხადა მადლობა.

სათანადო ყურადღება უნდა გამახვილდეს ასევე მსჯავრდებულის ოჯახურ მდგომარეობაზე. ██████████ არის დაოჯახებული, ჰყავს 3 შვილი (მათ შორის ერთი სასჯელის მოხდის პერიოდში შეეძინა), მეუღლე და დედა. სასჯელის მოხდის პერიოდში მათთან მხოლოდ სატელეფონო კომუნიკაცია აქვს. მისი განმარტებით, პატივის უფლებით მათთან არ სარგებლობს იმიტომ, რომ სურვილი არ აქვს შვილებმა იცოდნენ მისი პატიმრობის შესახებ. ოჯახს აქვს მძიმე მატერიალური მდგომარეობა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, 2021 წლის 21 ოქტომბერს მსჯავრდებულმა ██████████ გაასაჩივრა ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

სამართლებრივი დასაბუთება

სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის წესი და პირობები რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, პატიმრობის კოდექსით და მინისტრის №320 ბრძანებით.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ნიშნავს მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა

აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანო – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო.⁷

სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივ საბჭოს შეუძლია მსჯავრდებულს, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულისა, სასჯელის მოხდის დროს მისივე თანხმობით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით.⁸

საბჭო მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხს განიხილავს მინისტრის №320 ბრძანებით დადგენილი წესით და ხელმძღვანელობს შემდეგი ხუთი კრიტერიუმით:

- დანაშაულის ხასიათი - აღნიშნული კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, რა გარემოებაში და რა ვითარებაში იქნა ჩადენილი დანაშაული, ასევე, ჩადენილია თუ არა დანაშაული პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში;
- მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში - აღნიშნული კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის მიმართ რამდენი და რა სახის დისციპლინური, ადმინისტრაციული და წამახალისებელი ღონისძიება იქნა გამოყენებული, აგრეთვე, კონკრეტულად რა სახის ქმედების გამო იქნა ასეთი გადაწყვეტილება მიღებული; ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის პერიოდში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების, დაწესებულების დღის განრიგის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებისა და დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის დაცვის შესახებ ინფორმაციას;
- მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა - აღნიშნული კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს წარსულში რამდენჯერ, რა სიმძიმის და რა სახის დანაშაულის ჩადენის ფაქტს ჰქონდა ადგილი; ასევე იმას, თუ რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულებისთვის და რამდენჯერ იყო ნასამართლევი მსჯავრდებული;
- ოჯახური პირობები - აღნიშნული კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ოჯახის წევრებთან, ჰყავს თუ არა მცირებლოვანი შვილები, შრომისუუნარო ოჯახის სხვა წევრები, ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა და სხვა;
- მსჯავრდებულის პიროვნება - აღნიშნული კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ჩადენილ დანაშაულთან, დაწესებულების მოსამსახურეებთან და სხვა მსჯავრდებულებთან,

⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 44, ნაწ. 1.

⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 73, პ. 3.

ინფორმაცია სასჯელის მოხდის პერიოდში სოციალურ აქტივობებში მიღებული მონაწილეობის შესახებ, საჭიროებს თუ არა განსაკუთრებულ ზედამხედველობას დაწესებულების ხელმძღვანელობის მხრიდან და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც პიროვნების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.⁹

საბჭოს მიზანია მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ხელშეწყობა და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა.¹⁰ საბჭოს გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.¹¹

პირობით ვადამდე განთავისუფლების მექანიზმის ეფექტიანად განხორციელებაზე, როგორც სასჯელის მიზნის მიღწევის ყველაზე მიზანშეწონილ სისტემაზე და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისთვის ხელშეწყობ ფაქტორზე არაერთხელ ხაზი გაესვა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტების (შემდეგში - კომიტეტი) რეკომენდაციებში.

კომიტეტის (2003)22 რეკომენდაციაში ასახული მოსაზრებით, პირობით ვადამდე გათავისუფლების მიზანი უნდა იყოს მსჯავრდებულის დახმარება, რათა მან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გატარებული დროის შემდეგ შეძლოს საზოგადოებაში კანონმორჩილი ცხოვრება გათავისუფლების შემდგომი პირობების შექმნითა და ზედამხედველობით, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მიზნის მიღწევას და წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და დანაშაულის შემცირებაში.¹²

პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის აღსრულებისა და მისი ეფექტურობის მიღწევის მარეგულირებელი სტანდარტები მოცემულია მინისტრთა კომიტეტის კიდევ ერთ ფუძემდებლურ დოკუმენტში - რეკომენდაცია (2006)2 ევროპული ციხის წესების შესახებ. კერძოდ, მისჯილ პატიმრებს უნდა დაეხმარონ, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროცედურებსა და სპეციალურ პროგრამებში, რომელიც დაეხმარება მათ მოახდინონ ტრანსფორმაცია ციხეში ცხოვრებიდან სამართალმორჩილი ცხოვრებისაკენ ნორალურ საზოგადოებაში.¹³ იმ პატიმართა შემთხვევაში, რომლებიც დიდი ვადით რჩებიან ციხეში, მიღებული უნდა იქნას ზომები, რომლებიც თანდათანობით მოახდენს მათ დაბრუნებას თავისუფალ, ჩვეულებრივ საზოგადოებაში.¹⁴ ეს მიზანი შეიძლება მიღწეული იქნას ციხეებში გათავისუფლების წინა პროგრამების არსებობით, ან ნაწილობრივ ან პირობითი გათავისუფლებით ზედამხედველობის ქვეშ ძლიერ სოციალურ დახმარებასთან კომბინაციაში.¹⁵

⁹ მინისტრის №320 ბრძანება, მუხლი 13, პ.1.

¹⁰ მინისტრის №320 ბრძანება, მუხ. პირველი, პ.2.

¹¹ მინისტრის N320 ბრძანება, მუხ. 22, პ.2;

¹² ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ

¹³ 223 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ევროპული ციხის წესების შესახებ, წესი 107.1

¹⁴ იქვე, წესი 107.2.

¹⁵ იქვე, წესი 107.3.

პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმზე, როგორც აუცილებელ და საჭირო ინსტრუმენტზე, იმსჯელა ადამიანის უფლებათა ეცროპულმა სასამართლომ და განმარტა, რომ სახელმწიფომ უნდა მისცეს მსჯავრდებულებს რეაბილიტაციის შესაძლებლობა და შედეგის მიღწევის შემთხვევაში - გათავისუფლების პერსპექტივა. აღნიშნული გამომდინარეობს კონვენციის სისტემიდან, რომლის ერთ-ერთი არსებითი პრინციპია ადამიანის ღირსების პატივისცემა.¹⁶

პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში

წლების განმავლობაში მსჯავრდებულები აქტიურად მომმართავენ და მიუთითებენ ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა არაერთგვაროვნებისა და დაუსაბუთებლობის პრობლემებზე. მსჯავრდებულთა გახშირებულმა მომართვიანობამ პირველად 2013-2014 წლებში დააყენა დღის წესრიგში ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის შესწავლის, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის აუცილებლობა. ამ საკითხზე, სწორედ, 2014 წელს გამოქვეყნდა პირველი სპეციალური ანგარიში - „სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა“.¹⁷

მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, რომელიც ამ მექანიზმა განიცადა 2013-2014 წლების შემდეგ, არ შემცირებულა საჩივრები საბჭოების მუშაობის ზედაპირულობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საბჭოების საქმიანობის შეფასება, შეფასების პროცესში გამოვლენილი დადებითი ტენდენციები, არსებული გამოწვევები, ასევე, კონკრეტული რეკომენდაციები ხარვეზების აღმოფხვრისა და პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით 2019 წელს აისახა სპეციალურ ანგარიშში „პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში“.¹⁸

სახალხო დამცველის აპარატი ანგარიშებში საუბრობდა საბჭოთა გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობასა და შაბლონურობაზე, არათანმიმდევრულ და არაგანჭვრეტად პრაქტიკაზე, ზეპირი განხილვების ჩატარების განუჭვრეტელ წინაპირობებზე, ხარვეზებზე წარსულში ჩადენილი დისციპლინური გადაცდომების მხედველობაში მიღების კონტექსტში და სხვა. საბჭოს და სასამართლოს კონკრეტული გადაწყვეტილებების ანალიზის, ასევე, საბჭოების მიერ ჩატარებული სხდომების მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ:

¹⁶ MATIOSAITIS AND OTHERS V. LITHUANIA, 23.05.2017, პარ. 181; VINTER AND OTHERS v. THE UNITED KINGDOM, 09.07.2013, პარ. 120-122.

¹⁷ ანგარიში ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3s72sZJ> [ზოლოს ნანახია: 10.03.2022].

¹⁸ ანგარიში ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3lcsH1H> [ზოლოს ნანახია: 10.03.2022].

- ადგილობრივი საბჭოები გადაწყვეტილებებს არ ასაბუთებენ და არ მიუთითებენ კონკრეტულ მოტივაციაზე, რის გამო ანიჭებენ ერთ კრიტერიუმს უფრო მეტ ყურადღებას და სხვა ნაკლებს;
- გადაწყვეტილებები არაერთგვაროვანია და საბჭოს მსგავსი ფაქტობრივი მოცემულობის მქონე საქმეებში განსხვავებული გადაწყვეტილებები გამოაქვს;
- საბჭო, ხშირ შემთხვევაში, არ აქცევს ყურადღებას დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ხანდაზმულობას, გადაცდომის სიმძიმეს, დაკისრებული სახდელის სიმძიმეს და არც გადაცდომის შემდგომ პერიოდში პატიმრის დადებითად შეცვლილ ქცევას. შედეგად, თუნდაც წლების წინ ერთი მცირე სახის დისციპლინური გადაცდომა პატიმრისთვის პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება გახდეს;
- საბჭოს რიგ გადაწყვეტილებებში უზუსტობები ფიქსირდება, რაც ხშირ შემთხვევაში, პატიმრისთვის საუარესო გადაწყვეტილების წინაპირობა ხდება;
- არ არის განჭვრეტადი საბჭოს მიერ საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის მოტივაცია.

როგორც 2019 წლის სპეციალურ ანგარიშში აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა არ წარმოადგენს მსჯავრდებულის მირითად კონსტიტუციურ უფლებას, იგი არის მნიშვნელოვანი კანონისმიერი შესაძლებლობა, რათა მსჯავრდებულს ჰქონდეს მოტივაცია მსჯავრდების შემდგომ პერიოდში, სრულად იყოს ორიენტირებული რესოციალიზაციის პროცესზე და შედეგად ჰქონდეს ამ მექანიზმის ეფექტურად სარგებლობის იმედი.¹⁹

სახალხო დამცველი მექანიზმის ფუნქციონირების პრობლემურობაზე საუბრობს მის ყოველწლიურ ანგარიშებშიც.²⁰

წინამდებარე საქმის ანალიზი

_____ საქმის შესწავლის პროცესში ადგილობრივი საბჭო დაეყრდნო წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტებს, ნასამართლობას, სასჯელის მოხდის პერიოდში დისციპლინური გადაცდომების არსებობას და წარსულში ერთხელ კანონით დადგენილი შეღავათების გამოყენების ფაქტს²¹. აღნიშნულის გარდა, სხვა გარემოების სახით, ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მსჯავრდებულს საბჭოში არ წარმოუდგენია დაზარალებულის უფლებამონაცვლის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა. თუმცა,

¹⁹ იხ. <<https://bit.ly/2WzrLNS>>; გვ. 3-4 [ზოლოს ნანახია: 10.03.2022].

²⁰ მაგ. იხ. <<https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>> - საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ”, 2020 წ. გვ. 107-110.; ასევე, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2020 წლის ანგარიში, <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040113411364936.pdf>> გვ. 25-29.

²¹ _____ 2016 წლის 26 აპრილს გათავისუფლდა პირობით ვადამდე.

საბჭომ არ მიუთითა, თუ კონკრეტულად რომელ გარემოებას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებისას.

ამასთან, რაც უფრო მეტად ყურადსაღებია, საბჭომ არანაირი ყურადღება არ მიაქცია მსჯავრდებულის სასჯელის დასაწყისიდან დღემდე რესოციალიზაციის კუთხით არსებულ პოზიტიურ დინამიკას. კერძოდ, საწყის 6 თვეში დაკისრებული ორი დისციპლინური სახდელის შემდეგომ, მსჯავრდებულმა სრულიად გამოასწორა ყოფაქცევა. შემდეგი 5 წლის განმავლობაში - დღემდე, მსჯავრდებული არაერთხელ წახალისადა, დასაქმდა, გაიარა არაერთი სარეაბილიტაციო კურსი და გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები რესოციალიზაციის კუთხით. როგორც მსჯავრდებულის პირადი საქმიდან და ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებიდან ირკვევა, მსჯავრდებულმა წარმატებით გაიარა კოლეჯ იბერიას სასწავლო პროგრამა და დაეუფლა მეფუტკრეობის პროფესიას. თუმცა, საბჭოს გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული, რომ [REDACTED] მეგობრების დახმარებით შეიძინა ორი ოჯახი ფუტკარი და მისი ცოდნის საფუძველზე და მითითებებით ოჯახის წევრები შეძლებისდაგვარად უვლიან ფუტკრებს.²²

საბჭოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ [REDACTED] სასჯელის მოხდის პერიოდში ირიცხებოდა სამეურნეო მომსახურებაში, თუმცა მსჯავრდებული ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ 2021 წელს დასაქმებული იყო შპს „[REDACTED]“, კერძოდ, პენიტენციური დაწესებულების სასადილოში.²³ მის მიერ წარმოდგენილი დახასიათების თანახმად, [REDACTED] კეთილსინდისიერად ასრულებდა შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და მის მიერ დისციპლინური გადაცდომა არ გამოვლენილა.

საბჭოს გადაწყვეტილებაში საერთოდ არ არის მითითებული, რომ მსჯავრდებულმა მონაწილეობა მიიღო დისტანციურ ტრენინგში „მეცხოველეობა - ცხოველთა ჯიშები, დაავადებები, პრევენცია, ჰიგიენური სტანდარტები და მეწარმეობის პროტოკოლები“ და იგი კვლავ მზაობას გამოთქვამს პროგრამებში ჩართვაზე. მას სურვილი აქვს სრულფასოვნად დაუფლოს ვეტერინარიის პროფესიას.²⁴

[REDACTED] მეცხოველეობით და ვეტერინაიის პროფესიით დაინტერესება დასტურდება ასევე იმ გარემოებითაც, რომ მსჯავრდებულმა განცხადებით მომართა სახალხო დამცველის აპარატს და ითხოვა დახმარება შინაური ცხოველების მოვლის საკითხებზე არსებული ლიტერატურის გაცნობასთან დაკავშირებით. მსჯავრდებულის თხოვნის საფუძველზე, სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა შესაბამისი ინფორმაცია ეროვნული ბიბლიოთეკიდან და პერიოდულად აწვდის მსჯავრდებულს ამ თემაზე არსებულ ლიტერატურას, რომელსაც [REDACTED] ეტაპობრივად ეცნობა.

ამასთანავე, საბჭოს გადაწყვეტილებაში არ არის აღნიშნული, რომ მსჯავრდებულმა 2021 წელს დაწესებულების ეზოში მოაწყო ერთწლოვანი კულტურების ბალი.²⁵

²² ინფორმაცია დასტურდება №2 დაწესებულების 2022 წლის 15 იანვრის დახასიათებით.

²³ იქვე.

²⁴ იქვე.

²⁵ იქვე.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მსჯავრდებულის მოტივაცია და სწრაფვა სოციალურ აქტივობებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. პრევენციის ეროვნული მექანიზმების ანგარიშებში არაერთხელ დეტალურად იქნა მიმოხილული პენიტენციურ დეწესებულებებში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით არსებული მძიმე მდგომარეობა, განსაკუთრებით დახურული ტიპის დაწესებულებებში.²⁶ ანგარიშებში საუბარია იმაზე, რომ დაწესებულებებში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით გატარებულ ღონისძიებებს ფრაგმენტული ხასიათი აქვს და არ არის მორგებული მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. დაწესებულებებში შეჩერებულია სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი. ნებისმიერ შემთხვევაში სარეაბილიტაციო აქტივობების უკიდურესი სიმწირის გამო, ასეთი დაგეგმვა აზრს მოკლებული იქნებოდა. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ პენიტენციური დაწესებულებები განიცდიან სოციალური მუშავებისა და ფსიქოლოგების ნაკლებობას. საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ არასაკამარისი და შესაბამისი კვალიფიკაციის არმქონე²⁷ პერსონალის პირობებში, შეუძლებელი ხდება მსჯავრდებულთა ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა²⁸ და სარეაბილიტაციო აქტივობების შეთავაზება.

რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით, განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა დახურული ტიპის დაწესებულებებში. მათ შორის, №2 და №8 დაწესებულებებში მყოფი პატიმრები არ არიან ჩართული რაიმე სახის სარეაბილიტაციო აქტივობაში და განიცდიან კომუნიკაციის დეფიციტს. საინტერესო და თავშესაქცევი აქტივობების გარეშე საკანში 23 საათი ყოფნა (ერთსაათიანი გასეირნების გამოკლებით) ამ პატიმრებში აძლიერებს პროტესტის, უსამართლობისა და უიმედობის განცდას, რაც დამატებით პრობლემებს აჩენს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით.

ამის ფონზე, [REDACTED] მიერ სოციალურ აქტივობებში აქტიური მონაწილეობა და ჩართულობა კიდევ უფრო დასაფასებელია.

ამრიგად, სასჯელის მოხდის ბოლო 5 წლის განმავლობაში მსჯავრდებულის სანიმუშო ყოფაჟცევა ცალსახად მეტყველებს მის სურვილზე დაამტკიცოს, რომ იმსახურებს მის მიმართ კანონით დადგენილი შეღავათების გამოყენებას.

მსჯავრდებულის მოტივაციის განმაპირობებელი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი მისი ოჯახია. როგორც უკვე აღინიშნა, [REDACTED] ჰყავს დედა, მეუღლე და 3 შვილი, რომელთაგან ერთ-ერთი სასჯელის მოხდის პერიოდში შეეძინა და ნაწახიც არ ჰყავს. მისი განმარტებით, პატიმრის უფლებით შეგნებულად არ სარგებლობს, რადგანაც სურვილი არ

²⁶ იხ. პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში, ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3h4Tseb>> გვ.61-64 [ბოლოს ნანახია: 10.03.2022]; ასევე, N2, N8, N14 და N15 დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტების შემდგომ ანგარიში, ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3s8UJLj>>, გვ. 35-38 [ბოლოს ნანახია: 10.03..2022].

²⁷ სოციალური მუშაობის შესახებ კანონის 42-ე მუხლის I ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად, სოციალურ მუშავს უნდა ჰქონდეს სოფიალური მუშაობის სფეროში ბაკალავრის, მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული ან დოქტორის აკადემიური ხარისხი, ან ამ კანონით გათვალისწინებული სოციალური მუშავის სერთიფიკატი.

²⁸ სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 47.

აქვს მისმა შეცილებმა იცოდნენ, რომ ამჟამად პენიტენციურ დაწესებულებაში იმყოფება. შესაბამისად, მათთან მხოლოდ სატელეფონო კომუნიკაცია აქვს. მის მიერ სხვადასხვა სასწავლო პროგრამების გავლა სწორედ იმ მიზანს ემსახურება, რომ გათავისუფლების შემდგომ შეძლოს დასაქმება და ოჯახის მატერიალურად უზრუნველყოფა, რადგანაც ამ ეტაპზე მისი ოჯახის მდგომარეობა მძიმეა. ოჯახური პირობები კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია, რომელსაც საბჭო ყურადღებას აქცევს მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხის განხილვის დროს.

ზემოაღნიშნული გარემოებების მიუხედავად, საბჭომ არასაკმარისად მიიჩნია დადებითი კონტექსტის კრიტერიუმები და არ დაკმაყოფილა შუამდგომლობა [REDACTED] სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის თაობაზე. ყველაზე საგულისხმო კი ისაა, რომ გადაწყვეტილება არავითარ ინფორმაციას არ შეიცავს იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს მსჯავრდებულმა აღნიშნული მექანიზმის მასზე გასავრცელებლად, არის თუ არა ეს საერთოდ შესაძლებელი, პირობითად, რა დამატებითი კურსები უნდა გაიაროს, ან რა სხვა ნაბიჯები გადადგას იმისთვის, რომ საბჭომ პოზიცია შეიცვალოს.

მნიშვნელოვანია, რომ მსჯავრდებული ითხოვს არა პირობით ვადამდე გათავისუფლებას, არამედ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის. გათავისუფლების შემთხვევაში, მსჯავრდებული კვლავ დაექვემდებარება ვალდებულებებს და დარჩება სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი და ინტენსიური ზედამხედველობის ქვეშ.

ზოლო ხუთი წლის განმავლობაში [REDACTED] სანიმუშო მსჯავრდებულია და დგამს ყველა შესაძლო ნაბიჯს იმისთვის, რომ საკუთარი რესოციალიზაციის შესაძლებლობა აჩვენოს. საწინააღმდეგო არც საბჭოს გადაწყვეტილებაშია მითითებული. ამ ფონზე, მსჯავრდებულის რესოციალიზაციის უწყვეტ პროცესს საბჭო არავითარ ყურადღებას არ აქცევს და კრიტერიუმების შეფასებას მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს. არავითარი უკუკავშირი არ მყარდება მსჯავრდებულთან მისი ინფორმირებისთვის, თუ რა გახდა საბჭოს ნეგატიური გადაწყვეტილების მიზეზი და რა შეიძლება შეიცვალოს მომავალში. ფორმალისტური, არაგანჭივრეტადი მიდგომით საბჭო ინდიფერენტულობას გამოიწვევს ნებისმიერ მსჯავრდებულში და პირიქით, დაუკარგავს მას ყველანაირ მოტივაციას რესოციალიზაციის პროცესისადმი.

შესაბამისად, აუცილებელია, რომ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხის განხილვა გახდეს მეტად განჭვრეტადი და არ ტოვებდეს უსამართლობის განცდას პატიმრებში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პატიმრის განაცხადი არ დაკმაყოფილდება, საბჭოს გადაწყვეტილებაში პირდაპირ უნდა ეწეროს, თუ რამ განაპირობა ეს, რა შემდგომი ნაბიჯებით შეიძლება შეცვალოს პატიმრმა ეს მოსაზრება და თუნდაც რა კურსების ან სხვა სარეაბილიტაციო შესაძლებლობების გამოყენება უნდა დაიწყოს მან. საბჭოს გადაწყვეტილება ერთგვარი სახელმძღვანელო უნდა იყოს მსჯავრდებულისთვის სამომავლო მოქმედებებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში,

თითვეული წარსულში ნასამართლევი ან წლების წინ დისციპლინური სახდელით დასჯილი პატიმარი ჩათვლის, რომ მას ფაქტობრივად აღარ აქვს ამ მექანიზმით სარგებლობის შესაძლებლობა. ეს მიდგომა რომ კანონის შესაბამისი ვერ იქნება, ამას ცხადყოფს ის, რომ მსგავსი პატეგორიის მსჯავრდებულებისთვის არ არის კანონმდებლობის დონეზე აკრძალული მექანიზმით სარგებლობის უფლება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ პენიტენციურ სისტემაში, რიგ დაწესებულებებში, უკვე არსებობს პატიმართა რესოციალიზაციის ინდივიდუალური გეგმები, რომლითაც ფასდება პატიმრის როგორც სტატიკური, ისე - დინამიკური მონაცემები, საშიშროების, ზიანისა და რეციდივის რისკები, პატიმრის რესოციალიზაციის ხარისხი და სხვა. აღნიშნულ პროცესში ჩართულია სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, დაწესებულების თანამშრომლები და პატიმრის უშუალო მეთვალყურე პირები, რომლებიც აფასებენ მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის გაცნობიერებას, სინაზულს, რესოციალიზაციის ხარისხს, გათავისუფლებისთვის მზადყოფნას და ა.შ. ინდივიდუალური გეგმები ეტაპობრივად ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში უნდა ამოქმედდეს.

ამრიგად, დამატებით მიგვაჩნია, რომ პატიმართა რესოციალიზაციის ინდივიდუალური გეგმების ინკორპორირება თავისუფლად არის შესაძლებელი სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხის განხილვაში. ამ გზით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გადაწყვეტილება უარყოფითი იქნება, საბჭო ვალდებული იქნება, გადაწყვეტილებაში ჩაწეროს იმ შემდგომი ნაბიჯების მონახაზი, რომელიც პატიმარმა უნდა გადადგას, ხოლო აღნიშნულის გაწერა მოხდებოდა პატიმართა რესოციალიზაციის ინდივიდუალურ გეგმებში დეტალურად, რომლის აღსრულების კონტროლს პატიმართან უშუალო კონტაქტში მყოფი პირები განახორციელებდნენ.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ წინამდებარე საქმის განხილვისას, სასამართლომ იმსჯელოს საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთებისა და განჭვრეტადობის აუცილებლობასთან დაკავშირებით, რაც შეცვლიდა ამჟამად დამკვიდრებულ ბლანკეტურ პრაქტიკას. სასამართლოს შეუძლია, დაავალდებულოს საბჭო, წარმოადგინოს შინაარსობრივი, ზემოთ განხილული ინფორმაცია პატიმართან დაკავშირებით და იმ შემთხვევაშიც კი, თუ გადაწყვეტილება უარყოფითი იქნება, დიდი ნაბიჯი გადადგას პატიმართა რესოციალიზაციის პრაქტიკაში - შეიტანოს განჭვრეტადობა მსჯავრდებულთა განაცხადების განხილვის, გადაწყვეტისა და რესოციალიზაციის მიზნით პატიმართა მიერ განსახორციელებელი შემდგომი ნაბიჯების გამოყვეთის პროცესში.

დასკვნა

სასჯელის მოხდის პერიოდში რესოციალიზაციის მიზნის მიღწევა შესაძლებელია სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობებში მონაწილეობით, დაწესებულების დებულების, დღის განრიგის, ადმინისტრაციის კანონიერი მოთხოვნის, კანონმდებლობით გათვალისწინებული მოვალეობების კეთილსინდისიერი შესრულებითა და სხვა

პოზიტიური ქცევით. თუ საბჭოს მიაჩნია, რომ მსჯავრდებულის მიერ გამოვლენილი პოზიტიური ქცევა და მის მიერ განხორციელებული აქტივობები არ არის საკმარისი მისი რესოციალიზაციისთვის, მაშინ მან უნდა დაასაბუთოს მისი მოსაზრება და განმარტოს რატომ არ არის პირი ჯერ კიდევ რესოციალიზებული. საბჭოს გადაწყვეტილებიდან მსჯავრდებულისთვის გასაგები უნდა ხდებოდეს რას მოელოდა მისგან საბჭო და რა ვერ შეასრულა პატიმარმა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაწყვეტილება ტოვებს პასუხგაუცემელ კითხვებს თითოეული მსჯავრდებულისთვის თუ რა შეიძლება მან გააკეთოს დამატებით სასჯელის მოხდის პერიოდში იმისთვის, რომ საკმარისად იქნეს მიჩნეული მის პირობით ვადამდე გასათავისუფლებლად თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შესაცვლელად. საკითხის განხილვის მექანიზმი იყოს განჭვრეტადი და არ ტოვებდეს პატიმრებში უსამართლობის განცდას. ამ მიშართულებით შემდგომი პრაქტიკის განვითარების თვალსაზრისით, მოცემული საქმის ფარგლებში სასამართლოს პოზიციას დიდი მნიშვნელობა გააჩნია, რის გამოც მოგმართავთ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ვიხელმძღვანელე „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლით.

დამატებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გამოვთქვამთ მზადყოფნას საქმის არსებით განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

